

**თავმჯდომარეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბ.დოლიძის  
ანგარიშის მოსმენის სხდომის**

ოქმი

**თავმჯდომარეობდა:** გიორგი ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ბ.დოლიძე არის პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ბ.დოლიძემ, საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ბ.დოლიძე მაღალი პასუხისმგებლობით და

პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და კოლეგებმა მ.ჩხიკვიშვილმა და გ.კილაძემ.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე, აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 4-ფურცლად)

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო